

დანართი 2

დამტკიცებულია ა(ა)იპ "მოსწავლე ახალგაზრდობის
ეროვნული სასახლის დირექტორის
2016 წლის 1 ფებრვარი N 71 ბრძანებით

ა(ა)იპ "მოსწავლე -ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე
თვითნაკეთი სათამაშოების საქალაქო კონკურსი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

იდეის ავტორი -ციალა სალარაძე
შემეცნებით თამაშობათა განყოფილების ხელმძღვანელი/პედაგოგი)
მეთოდისტი - მარინე გელაშვილი

თბილისი 2016 წელი

ა(ა)იპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე" ატარებს თვითნაკეთი სათამაშოების საქალაქო კონკურსს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისის სკოლების მოსწავლეებს.

მოსწავლეთა ასაკი შეზღუდული არ არის.

კონკურსის მიზანია:

- მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარ-ჩვევების და ფანტაზიის სტიმულირება, შრომითი ჩვევების დანერგვა, მხატვრული და ესტეტიკური გემოვნების დახვეწა-განვითარება.
- საკონკურსოდ შეიძლება წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი რბილი მასალისაგან დამზადებული სათამაშო.

კონკურსის ჩატარების ეტაპები:

- კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად: სასკოლო და სალაქო.
- სასკოლო ტურები ჩატარდება დეკემბერის თვეში თბილისის სკოლების ბაზაზე. დასკვნითი საქალაქო კონკურსი-გამოფენა კი გაიმართება მარტის ბოლოს სასახლეში.
- კონკურსის შედეგებს შეაჯამებს ჟიური.
- გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან სასახლის სიგელებით.